

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლი

ქართული ნაციონალიზმის რეკონსტრუირებაში

თამარ დემურიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სრული პროფესორი.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ დემურიშვილი

6.07.2015 წ.

აბსტრაქტი: მიუხედავად ფაქტისა, რომ ბევრია დაწერილი ქართული ნაციონალიზმისა და მართლმადიდებლური ეკლესიის როლის შესახებ, რომელიც მან ქართული ნაციონალური იდენტობის რეკონსტრუირებაში ითამაშა, თემა აქტუალობას კვლავ არ კარგავს. რიგი პრობლემების არსებობის შედეგად, რაც საქართველოში დასავლური განმანათლებლური იდეების დაგვიანებით შემოსვლამ და პოლიტიკური ორგანიზაციების სისუსტემ განაპირობა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, საქართველოში ეროვნული ღირებულებების რეკონსტრუქციის პასუხისმგებლობა იმ დროისათვის საზოგადოებაში ყველაზე გავლენიანმა და ავტორიტეტულმა ინსტიტუტმა - ეკლესიამ აიღო.

ნაშრომის მიზანია პატრიარქის 1978-2003 წლებში დაწერილი საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეების ანალიზის საფუძველზე შეისწავლოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ქართული ნაციონალიზმის რეკონსტრუირებაში. ასევე, კონტენტ-ანალიზის ჩატარების საფუძველზე, გამოკვეთოს და აჩვენოს აღნიშნულ ეპისტოლეებში გამოხატული აქტუალური თემატიკა და ის ემფაზები, რომელიც პატრიარქის მიერ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების შესახებ კეთდება.

აღნიშნული კვლევა მოცემული პრობლემის შესწავლისათვის ორიგინალურ მიდგომას ითვალისწინებს. დღეისათვის, კვლევა წარმოადგენს პირველ მცდელობას შეისწავლოს ეკლესიის როლი ქართული ნაციონალიზმის რეკონსტრუირებაში პატრიარქის 1978-2003 წლებში შექმნილი ეპისტოლეების ანალიზის საფუძველზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნაციონალიზმი, რელიგია, კულტი, მორალი, კოლექტიური რეალობა, წარმოსახვითი საზოგადოება, ავტორიტეტი, ავტორიტარული სინდისი, ქარიზმატული ავტორიტეტი, სუბლიმაცია, ამალღებული, იდეალი, იდეალიზაცია, ინდივიდუალიზმი, სეკულარიზაცია, ინდივიდუალური რელიგია.

Abstract: Despite the fact, that Georgian nationalism and the role of Georgian Orthodox Church which it played in the reconstruction of the identity of Georgian Nationalism is a well-studied issue, the topic is still of a great importance. Because of various influential reasons which were caused by the weaknesses of the political organizations and the late development of the western Enlightenment ideas, after the collapse of the Soviet Union it was the Georgian Orthodox Church that took a responsibility of reconstructing in Georgia main national values. Church was and still is a very influential organization and has a very strong authority within the Georgian society.

The aim of the research is to study the role of Georgian Orthodox Church in reconstructing Georgian Nationalism on the base of analyses of the Christmas and Easter epistles of the patriarch of Georgia, covering the period from 1978 till 2003. Also, based on the content-analysis, the research aims to sharpen and demonstrate the popular issues represented in the epistles named above and those emphases, which the patriarch of Georgia makes about both, country's internal and external politics, as well as about the various aspects of the social life.

The research represents the original approach to study the issue and it is the first-time speculation aimed at studying the role of the Georgian Orthodox Church in the reconstruction of Georgian Nationalism based on the epistles of the patriarch of Georgia, within the period of 1978-2003.

Key words: Nationalism, Religion, Cult, Moral, Collective reality, Imagined Community, Authority, Authoritarian Conscience, Charismatic Authority, Sublimation, Sublime, Ideal, Idealization, Individualization, Seculatization, Individual religion.